შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№8 (9.622)

15-22 მარტი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის კრებებზე პრიორიტეტები გამოიკვეთა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მოადგილესთან ნიკოლოზ ხუციშვილთან ერთად, 7 მარტს სოფელ სამთაწყაროსა და ქვემო ქედს ეწვია, სადაც მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის მიზანი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის პრიორიტეტის გამოვლენა იყო. სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობის მოთხოვნით, ამ პროგრამის ფარგლებში გარემონტდება საბავშო ბაღი და 25 ტონიანი სასწორის შეძენა იგეგმება.

რაც შეეხება ქვემო ქედს, სოფლის კრებაზე გადაწყდა, რომ გარემონტდება საბავშო ბაღი და ბაღისთვის შეიძენენ ატრაქციონებს, გაკეთდება წყაროსთან მისასვლელი გზა და დამონტაჟდება გარე განათება.

8 მარტს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში, არბოშიკში, მირზაანში და ზემო მაჩხაანში სოფლის კრებები გაიმართა. კრებებს მოსახლეობასთან ერთქად მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც დაესწრო, რომელმაც დამსწრე ქალბატონებს 8 მარტი მიულოცა. სოფლის კრებების მიზანია გამოავლინოს ის პრობლ;ემები, რომლებიც სოფლის მხარდამჭერი პროგრამით მოგვარდება.

სოფელ ზემო მაჩხაანში, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხა მიმართული იქნება წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, ასევე კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა ბავშვთა დასასვენებელი პარკი.

რაც შეეხება სოფელ მირზაანს, მირზაანის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, რაჭველების უბანში დამონტაჟდება გარე განათება. სოფელ არბოშიკში გარემონტდება საბავშო ბაღი და მოხდება სასმელი წყლის სათავო ნაგებობების გაწმენდა.

მრავალშვილიანობის ჯილდო

ვინ მიიღებს ფულად დახმარებას და რა ვადით დემოგრაფიული პროგრამის ფარგლებში?!

ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც იმ რეგიონებში, სადაც შობადობა შემცირებულია, მშობლებისთვის ყოველ მესამე შვილზე ფულადი დახმარების გაცემას ითვალისწინებს, მხოლოდ 2014 წლის 1 ივნისის შემდეგ დაბადებულ ბავშვებზე გავრცელდება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა, სამინისტრო იზრუნებს, რომ ახალი პროგრამის ამოქმედების და მასში მონაწილეობის შედეგად, სოციალურად დაუცველ ოჯახებს საარსებო შემწეობა არ შეუწყდეთ.

დღეს ცნობილი გახდა, რომ პირველი ივნისიდან იმ რეგიონებში, სადაც შობადობა შემცირებულია, ყოველი მესამე შვილის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. დახმარების ოდენობა მთიან რეგიონებში 200 ლარი, ხოლო ბარში 150 ლარი იქნება.პირველ ეტაპზე ეს გადაწყვეტილება 6 რეგიონს შეეხება. დახმარებას მიიღებენ რაჭა — ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, სამეგრელო — ზემო სვანეთში, იმერეთში, კახეთსა და მცხეთა — მთიანეთში. იქმნება დემოგრაფიულ საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია, რომელსაც პრემიერ — მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განმარტებით, ეს არის სახელმწიფოს სტრატეგია, რომელიც მოიცავს რამდენიმე მიმართულებას.

„მოდელის შერჩევა მოხდა ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით. კონკრეტულად, პროექტის ამ კომპონენტის დაგეგმვა, რაზედაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, მოხდა რეგიონული მიდგომით. ანუ რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული ბალანსი იყო უარყოფითი, დაბალი შობადობა და მაღალი სიკვდილიანობა, აქ მიმართული არის სახელმწიფო სტრატეგია სწორედ მრავალშვილიანობის სტიმულირებისკენ.იმ რეგიონებში, სადაც არის გაზრდილი დედათა სიკვდილიანობა, უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება ორსულთა მოვლასა და პატრონაჟზე“, — აღნიშნავს ჯანდაცვის მინისტრი.

დავით სერგეენკოს განცხადებით, ფულადი დახმარება მხოლოდ 2014 წლის 1 ივნისის შემდეგ დაბადებულ ყოველ მესამე და მომდევნო ბავშვზე გაიცემა, ორი წლის ასაკამდე.

„ეს იქნება ყოველთვიური დახმარება და საწყის ეტაპზე გავრცელდება ორი წლის ასაკამდე. მაღალმთიან რაიონებში იქნება არა 150 ლარი, არამედ 200 ლარი. ეს იქნება არა ოჯახის უკვე მესამე, მეოთხე

(გაგრძელება გვ.3)

სოფლებში ბუხვედრებმა დიდი სტიმული და იმედი ჩამისახა

ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახდა

წარჩინებული სტუდენტები სახელმწიფო სტრუქტურებში 6-თვიან სტაჟირებას გაივლიან

რატომ შემცირდა ცხვრის ექსპორტი?!

C M Y K

პრემიერი სტუდენტებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და მათთვის საინტერესო თემებზე - საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ პრინციპებზე, ახალი ხელისუფლების მიღწევებზე, გასატარებელ რეფორმებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თსუ სტუდენტებს განათლების სფეროში განსახორციელებელი სამი ახალი ინიციატივა გააცნო: საერთაშორისო განათლების ცენტრის შექმნა, სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებლების მშენებლობა და წარჩინებულ სტუდენტთა სახელმწიფო სექტორში სტაჟირება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თსუ სტუდენტებს პრემიერის ფეისბუკის გვერდზე აქტიურობისკენ მოუწოდა-სპეციალური აპლიკაცია „ახალი თაობის იდეა პრემიერს“ ახალგაზრდობას პრემიერთან კომუნიკაციის მოხერხებულ საშუალებას სთავაზობს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თსუ სტუდენტთა კითხვებს უპასუხა. კითხვების უმრავლესობა დოქტორანტურისა და პოსტდოქტორანტურის დაფინანსებას, ახალგაზრდა მკვლევარ-მეცნიერთა საქმიანობის ხელის შეწყობა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შენარჩუნება-განვითარებას, საყდრისის მაღაროს, ხუდონჰესის, კაზრეთის პრობლემებს, პრემიერის ამერიკის სეერთებულ შტატებში ვიზიტს და საგარეო-ეკონომიკურ პერსპექტივებს შეეხო.

რექტორმა ვლადიმერ პაპავამ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

ირაკლი ღარიბაშვილმა რუმინეთის პრემიერ მინისტრი მიიღო

საქართველოსა და რუმინეთის პრემიერ-მინისტრებს შორის 14 მარტს თბილისში შეხვედრა გაიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა და ვიქტორ პონტამ ორი ქვეყნის ურთიერთობებსა და თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებაზე იმსჯელეს.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის მეთაურმა რუმინელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის, ოკუპირებული ტერიტორების არაღიარების პოლიტიკის გაგრძელებისთვის, ევროატლანტიკურ მისწრაფებებში თანადგომისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში აქტიური ჩართულობისთვის.

მხარეებმა შეხვედრისას პოლიტიკურ და ეკონომიკურურთიერთობებზე, ასევე თავდაცვისა და ენერგეტიკისსფეროში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. აღინიშნა საქართველოს წვლილი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში.

ვიქტორ პონტამ ირაკლი ღარიბაშვილი რუმინეთში მიწვია და აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, ქართველ კოლეგას ბუქარესტში მიმდინარე წლის განმავლობაში უმასპინძლოს.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ—მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოწვევით, პირველი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს რუმინეთის პრემიერ—მინისტრი ვიქტორ პონტა ესტუმრა.

რუმინეთის სამთავრობო დელეგაციაში არიან რუმინეთის საგარეო საქმეთა, ეკონომიკის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრები, პრემიერ-მინისტრის მრჩევლები, პარლამენტის წევრები და რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე.

ლონდონში დაიწყო კერის და ლავროვის შეხვედრა

ლონდონში დაიწყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან, უკრაინაში კრიზისზე მოსალაპარაკებლად. შეხვედრის დაწყებამდე ლავროვმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ვითარება რთულია“ და დიდი დრო დაიკარგა გამოსავლის მოსაძებნად. კერიმ ხუთშაბათს გააფრთხილა მოსკოვი, რომ შეერთებული შტატები და ევროპა სერიოზულ ზომებს მიმართავენ, თუ კვირას მართლაც ჩატარდება რეფერენდუმი ყირიმის რუსეთთან მიერთების საკითხზე. ასევე ხუთშაბათს, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა გაეროს უშიშროების საბჭოში გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთის „სამხედრო აგრესია“ ძირს უთხრის გლობალურ უსაფრთხოებას. თავის მხრივ, რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა თქვა, რომ რუსეთს არ სურს უკრაინაში ომი. ამ განცხადების ფონია რუსეთის ახალი სამხედრო წვრთნები უკრაინის საზღვართან. იუწყებიან აგრეთვე, რომ ქალაქ დონეცკში ერთი ადამიანი იქნა მოკლული მას შემდეგ, რაც რუსეთის მომხრეები თავს დაესხნენ ევროპაში ინტეგრაციის მომხრე დემონსტრანტებს.

ისრაელმა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა

2014 წლის 13 მარტს ისრაელის სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოში მიემგზავრებიან ტურისტული ან კერძო ვიზიტით, შეუძლიათ ქვეყანაში უვიზოდ შესვლა და იქ 90 დღემდე ყოფნა 180 დღიან პერიოდში.

მგზავრობისათვის აუცილებელია, რომ პირმა იქონიოს უკან დასაბრუნებელი ბილეთი და მოქმედი პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს შესვლიდან სულ მცირე 6 თვეს.

გარდა ამისა, მგზავრებს, ისრაელის სახელმწიფოს საზღვარზე, შეიძლება მოეთხოვოთ ჯანმრთელობის დაზღვევის, სასტუმროს ჯავშნის და ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენისთვის საკმარისი ფინანსური სახსრების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

უვიზოდ შესვლის ნებართვა არ იძლევა ისრაელის სახელმწიფოში მუშაობის უფლებას.

იციკ მოშე საქართველოს 500 მოქალაქის ისრაელში დასაქმების ინიციატივით გამოდის

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშე გამოდის ინიციატივით, საქართველოს ხუთას მოქალაქეს მიეცეს ისრაელში მშენებლობაზე დასაქმების უფლება.

მისი თქმით, ისრაელის სახელმწიფო სხვა ქვეყნების მიმართ მსგავს პრაქტიკას ყოველწლიურად მიმართავს. აღნიშნული ინიციატივის განხორციელება კი საქართველოს მოქალაქეების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს.

საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის ხელმძღვანელი ხაზს უსვამს ისრაელის სახელმწიფოს მიერ ამ დღეებში მიღებულ გადაწყვეტილებას ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის დაჩქარებული წესით ამოქმედებასთან დაკავშირებით და დასძენს, რომ ეს ქართველი მშენებლების ისრაელში დროებით დასაქმებას კიდევ უფრო გაამარტივებს.

ამასთან, იციკ მოშეს თქმით, საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატა ისრაელში დასაქმების მსურველებს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში უანგაროდ დაეხმარება და შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს შესაბამისი ხარჯი არ დააწვებათ.

როგორც იციკ მოშემ განაცხადა, მან აღნიშნული ინიციატივა უკვე გააცნო ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ხილიკ ბარს, რომელიც მზადაა, თავის მხრივ ეს წინადადება ქნესეთს გააცნოს, ხოლო აპრილში საქართველოს ეწვიოს და საკითხი ქართულ მხარესთან ერთად განიხილოს.

კახეთში აგროტურიზმის ცენტრი აშენდება

2014 წელს, კახეთში აგროტურიზმის ცენტრის მშენებლობა დაიწყება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ფერმების შესყიდვა, სასტუმროების მშენებლობა, პროდუქციის ადგილზე წარმოება და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა.

აგროტურიზმის პროექტს ებრაელი ბიზნესმენი აბრამ თეთრუაშვილი განახორციელებს. ცენტრის მშენებლობაზე ერთი მილიონი დოლარი დაიხარჯება.

როგორც ბიზნესმენმა „კომერსანტს“ განუცხადა, აგროტურიზმის ცენტრი ძირითადად რუს და ისრაელში მცხოვრებ ტურისტებზე იქნება გათვლილი.

„იგეგმება მიწის ნაკვეთების შესყიდვა, სადაც ხორბალს და სხვა კულტურების მოყვანა მოხდება. წარმოების გაზრდის მიზნით ისრაელიდან საჭირო ტექნიკას ჩამოვიყვანთ და წარმოებულ პროდუქციას ექსპორტზე გავიტანთ“, — განაცხადა აბრამ თეთრუაშვილმა.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე პროექტის ფარგლებში 50 ადგილობრივი დასაქმდება.

წარჩინებული სტუდენტები სახელმწიფო სტრუქტურებში 6-თვიან სტაჟირებას გაივლიან

წარჩინებული სტუდენტები სახელმწიფო სტრუქტურებში 6-თვიან სტაჟირებას გაივლიან. სტაჟიორების შერჩევა აკადემიური მოსწრებისა და რიგითობის მიხედვით მოხდება. ამის შესახებ პრემიერ — მინისტრმა ირაკლი რარიბაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილი იმედოვნებს, რომ მსგავსი ინიციატივები სტუდენტებისთვის სწავლის, ცოდნისა და გამოცდილების მიღების დამატებითი სტიმული იქნება.

„დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენს ქვეყანას მისცემს განათლებული და კვალიფიციური სპეციალისტების მთელ თაობას“, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებელი აშენდება

თბილისში რეგიონებიდან ჩასული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი აშენდება. პრემიერის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიიღო.

როგორც პრემიერმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, წლების განმავლობაში ეს გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა და მთავრობა აღნიშნულ პროექტზე უკვე მუშაობს.

„საერთო საცხოვრებელი აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ინვენტარით და შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა, რათა სტუდენტებს საკუთარი ნიჭის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. არცერთ მშობელს აღარ უნდა ეშინოდეს, რომ მის შვილს განათლების პერსპექტივა არ ექნება“, - აღნიშნა პრემიერმა თსუ-ს სტუდენტებთან შეხვედრაზე.

საქართველოში საერთაშორისო განათლების ცენტრი შეიქმნება

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოში საერთაშორისო განათლების ცენტრი შეიქმნება, რომელიც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველი ქართველი სტუდენტებისთვის სხვადასხვა პროექტს განახორციელებს.

აღნიშნული ინიციატივა ირაკლი ღარიბაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს გააცნო.

პრემიერის განმარტებით, მთავრობა ეძებს გზებს, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ კარგი განათლების მიღება - ერთის მხრივ, საქართველოში ამაღლდეს განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, მეორეს მხრივ კი, ისწავლონ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება საქართველოს განვითარებას მოახმარონ.

საერთაშორისო განათლების ცენტრში, რომელიც უშუალოდ პრემიერის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება, ყველა ფინანსური რესურსის, მათ შორის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების სახსრების კონსოლიდაცია მოხდება.

ცენტრი განახორციელებს იმ პროექტებს, რომელთაც აქამდე განათლების სამინისტრო ახორციელებდა - საზღვარგარეთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის მსურველებს სახელმწიფო დააფინანსებს.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, უპირველეს ყოვლისა, დაფინანსდება ის მიმართულებები, რომლის დეფიციტიც დღეს ქვეყანაშია. პრიორიტეტული სექტორების გამოსავლენად სპეციალური კვლევები ჩატარდება.

პრემიერის აღნიშნულ ინიციატივაში, ჩადებული იქნება პირობა, რომ საზღვარგარეთ სწავლის შემდეგ სპეციალისტები დაბრუნდებიან საქართველოში და სახელმწიფოს საქმიანობაში ჩაერთვებიან. ცენტრი ხელს შეუწყობს საქართველოში დაბრუნებული სპეციალისტების დასაქმებას.

„ჩვენი მიდგომაა, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის ადამიანური რესურსი, რომელიც, პრინციპში, ჩვენი ყველაზე დიდი აქტივია. მთელი ეს ძალისხმევა გამიზნულია იმისთვის, რომ ქართველმა სტუდენტებმა მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა და გამოიმუშაონ უნარები, რაც მომავალში მნიშვნელოვნად განაპირობებს ქართული ინტელექტუალური რესურსის კონკურენტუნარიანობას“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ჯანდაცვა ხელმისაწვდომი გახდა

ჩვენი გაზეთის მიერ ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, გამოიკვეთა მთელი რიგი აქცენტები, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სფეროში არსებულ ვითარებას ასახავს. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით ხანდაზმულებს, დღემდე კითხვები აქვთ აღნიშნული პროგრამის მიმართ. მათი უკეთ ინფორმირებულობის გათვალისწინებით, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს კახეთის რეგიონის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ინსპექტირების სამსახურის დედოფლისწყაროს მთავარ სპეციალისტ-მონიტორთან, ეძიმ ნათელა თამაზაშვილთან.

ქალბატონო ნათელა, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, უფრო კონკრეტულად თქვენი პროგრამის მუშაობაზე, მის მოცულობებზე, მის დადებით შედეგებზე, რომელიც დღემდე აისახა ჩვენს მოსახლეობაზე, მის სამომავლო გეგმებზე?

ნათელა თამაზაშვილი - მოგეხსენებათ, საყოველთაო ჯანდაცვის ინსპექტირების სამსახური, რომელიც ითვალისწინებს ყოველდღიურად შემოსულ პაციენტთა როგორც სტაციონალურ, ასევე ამბულატორიული მომსახურების ინსპექტირებას, ანუ ზედამხედველობას, 2013 წლის 28 თებერვლიდან ხორციელდება. პირველ ეტაპზე მასში ჩართულნი იყვნენ 6 წლის ასაკიდან 60 წლის ასაკამდე ქალები და 65 წლის ასაკამდე მამაკაცები, ანუ, ეს ასაკობრივი კატეგორიები მანამდე არცერთ

გამოკვლევები და მკურნალობა ჩვენს პროგრამაში გათვალისწინებულია სრული, 100% დაფინანსებით. ხოლო, პაციენტებს, რომელთაც ესაჭიროებათ გეგმიური ოპერაციები, მისი მკურნალი ექიმის მიერ ივსება ფორმა 100, დგება შესაბამისი კალკულაცია იმის მიხედვით,რომელ კლინიკაშიც უნდა ჩატარდეს ოპერაცია, (მოგეხსენებათ, ერთიდაიგივე ოპერაციაზე ყველა კლინიკას განსხვავებული ფასები აქვს დაწესებული, თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროში უკვე მუშაობენ იმ რეგულაციებზე, რათა სხვადასხვა კლინიკაში ერთიდაიგივე ოპერაციაზე ერთნაირად მოხდეს გადასახადის დაწესება), აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა საგარანტიო წერილი საყოველთაო ჯანდაცვის რეგიონალურ დეპარტამენტში, აგრეთვე, მათ შეუძლიათ მიმართონ ჯანდაცვის სამინისტროს. ზოგიერთის საბუთები ორი კვირის ვადაში ესწრება, ზოგის კი უფრო ადრე, ან უფრო გვიან, ეს დამოკიდებულია პაციენტის რიგითობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მალე ჩვენს პროგრამას კიდევ შემოუერთდებიან სხვადასხვა კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც გაკოტრების პირას არიან. სახელმწიფოს მხრიდან ეს არის ჩვენი მოსახლეობისთვის ზედმიწევნით კარგი პროგრამა, რომელიც სულ მალე გაფართოვდება, ამისათვის კი სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია თანხები. 2013 წლის 28 თებერვლიდან დღემდე სულ მომსახურება გავუწიეთ დედოფლისწყაროში 1551 პაციენტს, აქედან ამბულატორიული არის 1323, ხოლო სტაციონალური-207 ადამიანი, მათ შორის 15 მშობიარე იყო, 87 პაციენტი გადაყვანილია თბილისის სხვადასხვა კლინიკებში, შესაბამისი მკურნალობისთვის.

არ შემიძლია, გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლამდე ხალხზე ზრუნვა არავის გახსენებია, წინა მთავრობა გარიგებული იყო კერძო სადაზღვევო კომპანიებთან, რომელთაც პაციენტებიდან მხოლოდ ფული მიჰქონდათ, მომსახურება კი ნოლის ტოლფასი იყო, გაანადგურეს ჯანდაცვა, თვეებითა და წლებით აუღებელი ხელფასებით(რომელიც ისედაც მიზერული იყო) გაჭირვებაში აცხოვრეს მედპერსონალი. დღეს დანგრეულის აღდგენა ურთულესი რამაა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ნოლიდან იწყებ ყველაფერს, მაგრამ ახალი მთავრობა ამისათვის ძალ-ღონეს არ ზოგავს, ეს ყველაფერი კი იმ ციფრებზე აისახება,ზემოთ რომ მოგახსენებდით. ამას ჩვენი მოსახლეობა ადვილად მიხვდება, თუ პარალელს გაავლებს თავიანთ დღევანდელ და ორი წლის წინანდელ ყოფას შორის, თუნდაც მხოლოდ ჯანდაცვის კუთხით...

- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ჩვენ კი დავძენთ, რომ უკან მოვიტოვეთ წლები, როდესაც ავად გახდომის უფლება „ეკრძალებოდათ“ ადამიანებს, განსაკუთრებით იმ კატეგორიას, რომელსაც დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ ჰქონდათ, იმიტომ, რომ მათთვის შეიძლებოდა ყველაფერი ფატალურად დამთავრებულიყო. აღარ გვეშინია ავად გახდომის, რადგან ყველაფერი ადვილად ხელმისაწვდომია. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობას გისურვებთ, ძვირფასო დედოფლისწყაროელებო.

ელზა ხარაშვილი

მრავალშვილიანობის ჯილდო

ვინ მიიღებს ფულად დახმარებას და რა ვადით დემოგრაფიული პროგრამის ფარგლებში?!

(პირველი გვერდიდან)

და მომდევნო შვილზე, არამედ პირველი ივნისიდან გაჩენილ ბავშვებზე, როგორც მესამეზე, ასევე მეოთხეზე და მეხუთეზე. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს გავრცელდეს ზოგადად მრავალშვილიან დედებზე. ეს იქნება დამოკიდებული ამ პროექტის წარმატებაზე, რა შედეგებს მივიღებთ და საბიუჯეტო შესაძლებლობებზე“, — აღნიშნა მინისტრმა.

იმ მშობლების შესაძლო უკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რომლებიც ცხოვრობენ მაღალმთიან რაიონში და უკვე ჰყავთ მესამე ან მეოთხე შვილი და პროექტის მიხედვით, ვერ მიიღებენ დახმარებას, მინისტრი ამბობს: „უკმაყოფილება ნებისმიერ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს. მაგრამ საჭირო იქნება და ამას აუცილებლად გავაკეთებთ, მოსახლეობის სწორი ინფორმირება, რომ ეს არ არის პირდაპირ მრავალშვილიანობის მხარდასაჭერი პროექტი, არამედ ეს არის დემოგრაფიული პროექტი, რომლის ერთ — ერთი კომპონენტიც არის რამდენიმე შვილის ყოლის სტიმულირება. მოსალოდნელია, რომ ამან უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენ ვეცდებით, რომ სტრატეგიის ნაწილში დაბალანსდეს ყველა კომპონენტი. ეს არის ერთ — ერთი კომპონენტი“.

პროგრამას სოციალური მომსახურების სააგენტო განახორციელებს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

„ბიუჯეტი წელიწადში 4 მილიონ ლარამდე იქნება, მეორე წელს 8 მილიონამდე გაიზრდება, ანუ მეორე წელს დაემატება პირველ წელს დაბადებული ბავშვებისთვის განკუთვნილი თანხაც და ალბათ ზღვარი იქნება 8 მილიონიანი. წელს რადგან ივნისიდან იწყება, 2 მილიონამდე იქნება“, — აღნიშნა სერგეენკომ.

კითხვაზე, აღნიშნული დახმარება ხომ არ მოახდენს გავლენას სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაზე? ანუ, თუ ოჯახს საარსებო შემწეობა აქვს დანიშნული და ამასთან, ახალი პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურ ფულად დახმარებასაც მიიღებს, ეს ხომ არ გამოიწვევს საარსებო შემწეობის შეწყვეტას სარეიტინგო ქულების ზრდის ხარჯზე? მინისტრმა განაცხადა: „ჩვეულებრივ სოციალურ დახმარებაზე გავლენას ახდენს ნებისმიერი სხვა შემოსავალი, თუმცა, ისევე როგორც გაზრდილი პენსიების შემთხვევაში, ვიზრუნებთ, რომ ამ დახმარებამ არ იქონიოს გავლენა საარსებო შემწეობაზე“.

საქართველოში, შობადობის კუთხით ყველაზე ცუდი მდგომარეობა ონის მუნიციპალიტეტშია. სამი წლის განმავლობაში, 2011—დან 2013 წლის ჩათვლით, ონის რაიონში სულ 185 ბავშვი დაიბადა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მეორე ადგილზე ყაზბეგის რაიონია, სადაც სამი წლის განმავლობაში 208 ბავშვი დაიბადა.

2011—2013 წლებში 227 ბავშვი დაიბადა ლენტეხში; 346 - ახალგორში; 351 - ამბროლაურში; 359 - ცაგერის მუნიციპალიტეტში; 449 ბავშვი თიანეთში; 481- ცხინვალში; 490 - მესტიის მუნიციპალიტეტში; 515 - ასპინძაში; 672 - წალკის მუნიციპალიტეტში; 729 - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში; 751 - ადიგენის რაიონში; 752 - აბაშაში; 781- შუახევის მუნიციპალიტეტში; 791 ახალშობილი - ქედაში; 794 - ჩოხატაურში; 840 -ხარაგაულში; 876 - ტყიბულში; 967 - ხონის მუნიციპალიტეტში; 983 - ბაღდათში; 999 - წალენჯიხაში;

სოფლებში შეხვედრებმა დიდი

დედოფლისწყაროს საკრებულომ მუნიციპალიტეტის გამგებლად 30 წლის ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაამტკიცა. საკონკურსო კომისიამ კონკურსანტთაგან უპირატესობა ნიკოლოზ ჯანიაშვილის კანდიდატურას მიანიჭა. კონკურსში 47 კანდიდატი მონაწილეობდა. ჯანიაშვილი ჟურნალისტებს სრულ გამჭვირვალობას და აქტიურ თანამშრომლობას პირდება.

– ბატონო ნიკოლოზ, ხშირად აღნიშნავთ, რომ მანამდეც წარმატებული კარიერა და მაღალანაზღაურებადი სამსახურები გქონდათ, მინდა გკითხოთ, რატომ ჩაერთეთ პოლიტიკაში?

– მარტის თვეა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საუბრის დასაწყისში დედოფლისწყაროელ მანდილოსნებს მივულოცო როგორც დედის დღე, ისე ქალთა საერთაშორისო დღე. ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენებმა, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამ მაფიქრებინა, რომ

მოვიდა ის დრო, როცა შემიძლია, ჩემი გამოცდილება, განათლება და შესაძლებლობები მშობლიური რაიონის საკეთილდღეოდ გამოვიყენო. მთელი ენერგია დედოფლისწყაროს განვითარებას მოვახმარო და შევქმნა რაიმე ღირებული, რაც წლების შემდეგ ამაყად მათქმევინებს, რომ რაღაც ჩემი ქალაქისთვის მეც გამიკეთებია. იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებთ.

დადგა დრო, როცა შეგვიძლია გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობები და კეთილი საქმე ვაკეთოთ.

– გამგებლის კონკურსში მონაწილეობის მიღება თქვენი სურვილი იყო, თუ ვინმესგან შემოთავაზება მიიღეთ?

– მოგეხსენებათ, გამგებლის კონკურსი ღია და გამჭვირვალე იყო. როდესაც ვაკანსია გამოცხადდა, ჩემი სურვილით მივიღე მონაწილეობა და როგორც ხედავთ, გამიმართლა.

– მანამდე კერძო სექტორში მუშაობდით, თუმცა, საინტერესოა, ბოლო წლებში როგორი იყო თქვენი პოლიტიკური შეხედულებები?

– პოლიტიკაში აქტიურად ჩართული არ ვყოფილვარ, თუმცა კერძო სექტორში საქმიანობის პარალელურადაც მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სრულად ვიყავი ინფორმირებული. განსაკუთრებით ბოლო წლებში, როცა სამუშაოდ ქალაქ წნორში გადმოვედი. მას შემდეგ ქიზიყთან და ჩემს მშობლიურ რაიონთან უფრო აქტიური შეხება მქონდა. ხელისუფლების ცვლილებამდე ცხადია, ვგრძნობდი მოსახლეობის უკმაყოფილო მუხტს. არსებული რეალობა ყოველდღიურად უარესდებოდა და მქონდა ინფორმაცია იმ ზეწოლების შესახებ, რასაც ფერმერები განიცდიდნენ. რაღაც ეტაპზე ეს საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი, თუმცა ბოლო წლებში გამჟღავნდა. ჩემშიც ნელ-ნელა დაგროვდა უარყოფითი მუხტი, რაც ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებზეც აისახა. ვხვდებოდი, რომ ცვლილებები იყო საჭირო, რადგან ხალხი, ბიზნესი და მედია წნეხისაგან განთავისუფლებულიყო.

– თქვენი ახლანდელი თანაგუნდელები თანამდებობაზე დამტკიცების შემდეგ გაიცანით, თუ რომელიმე მათგანთან შეხება მანამდეც გქონდათ?

– თანამშრომლების რაღაც ნაწილს მანამდეც ვიცნობდი, ნაწილს ახლა ვეცნობი. მოგეხსენებათ, დედოფლისწყარო საკმაოდ პატარა ქალაქია და ზოგიერთს ბავშვობიდან ვიცნობ..

– რამდენი წელია, რაც დედოფლისწყაროში არ ცხოვრობთ და რა ინტენსივობით ახერხებდით მშობლიურ რაიონში ჩასვლას?

– სტუდენტობისას, 2000 წელს დედაქალაქში გადავედი, ამ პერიოდში ყოველ შაბათ-კვირას და არდადეგებს დედოფლისწყაროში ვატარებდი. ფოთში ყოფნისასაც, ყოველთვის, თვეში 2-3 ჯერ აუცილებლად ჩამოვდიოდი დედოფლისწყაროში, იმიტომ რომ ძალიან მიყვარს ჩემი რაიონი და ძნელი იყო ოჯახისა და მეგობრებისგან შორს ყოფნა. 2011 წლის ბოლო პერიოდიდან უკვე დედოფლისწყაროში ვცხოვრობ და წნორის ფილიალში მუშაობის დროს, სამსახურში სიარული აქედან მიწევდა. ამ პერიოდიდან შეიძლება ითქვას, დედოფლისწყაროს პულსზეც ხელი მედო და ყველაფრის საქმის კურსში ვარ. აქტიურად ვეცნობი პრესას, ტელევიზიას, ინტერნეტს...

– ხელმძღვანელის ცვლილებას საკადრო ცვლილებებიც ახლავს-ხოლმე, თუმცა ამ დრომდე არცერთი საკადრო ცვლილება ან საკადრო გადაადგილება არ გვინახავს...

– ამ ეტაპზე საკადრო ცვლილებებს ნამდვილად არ ვგეგმავ. სულ რამდენიმე კვირაა, რაც თანამდებობაზე დავინიშნე. ის თანამშრომლები, რომლებიც აქ მუშაობენ და თავიანთ საქმეს უძღებიან, უკვე წელინადზე მეტია დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ საქმის კეთება და ეს აჩვენეს წინა ხელმძღვანელობას. არ იქნება სწორი, პირველივე დღეებში მივიღო საკადრო ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება. მიმაჩნია, რომ საკადრო ცვლილებებისთვის აუცილებელია მყარი საფუძველი. წარმატებების შემთხვევაში დაწინაურება და შეცდომის არსებობის დროს დაქვეითება ბუნებრივია, თუმცა ამას დრო გვაჩვენებს. მაგრამ, ამჟამად ცვლილებები გატარდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი გამგებელი დაინიშნა, ეს გაუმართლებელია. ზოგადად, ეს ახალი გუნდია, რომელიც გამგეობაში 1 წლის წინ მივიდა, მათ დიდი სამუშაო გასწიეს. ძალიან ბევრი მივიწყებული თემა წამოიწია, ბევრი პრობლემა გადაიჭრა, ან გამოჩნდა მისი გადაჭრის გზები. ასე რომ, გუნდმა საკმაო გამოცდილება მიიღო და შემიძლია, თამამად დავეყრდნო მათ.

– როგორი იქნება თქვენი მართვის სტილი, რამდენად მკაცრი და მომთხოვნი იქნებით თანამშრომლების მიმართ?

– როცა ადამიანს რაიმე თანამდებობა უკავია და გარკვეული საქმე აქვს დავალებული, მიმაჩნია, რომ ეს არის მისდამი ნდობის გამოხატულება. მისთვის ეს უნდა იყოს დიდი პასუხისმგებლობა. ნდობას და პასუხისმგებლობას კი გამართლება ჭირდება.

ამ მხრივ საკმაოდ მკაცრი ვიქნები, ვგულისხმობ, როგორც დისციპლინურ საკითხებს, ისე შესრულებული სამუშაოს ხარისხს. მიმაჩნია, გამოცდილ გუნდს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ შეცდომები დაუშვას. ჩვენ უნდა შევძლოთ საზოგადოებისთვის საჭირო ბევრი კარგი საქმის კეთება. სწორედ ეს არის დაკვეთა და ჩვენი მოვალეობა. რა თქმა უნდა,

სამართლიანად მკაცრი ვიქნები...

– მოქალაქეთა მიღების დღეებთან დაკავშირებით როგორი მიდგომა გაქვთ?

– მიღება კვლავაც ყოველდღიურ რეჟიმში გაგრძელდება. ერთადერთი უხერხულობა იმ კუთხით იქმნება, რომ, შესაძლებელია, მოქალაქე სოფლიდან ამოვიდეს და ამ დროს რაიმე შეხვედრაზე ვიყო წასული, რის გამოც მოქალაქეს ვერ მივიღებ. დანარჩენ შემთხვევაში მოქალაქეთა მიღებისთვის გამოყოფილი დღე არ იქნება, ყოველ დღე იწარმოებს გამგებელთან მოსახლეობის შეხვედრები. მოქალაქეებთან ურთიერთობას არ გავურბივარ, პირიქით... მიმაჩნია, რომ მათგან შორს ყოფნა გაუცხოებამდე მიგვიყვანს და ინფორმაციული ვაკუუმის წინაშე დაგვაყენებს. ვფიქრობ, მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი ყველაზე კარგი საშუალებაა, გავიგოთ, რა ხდება ჩვენს რაიონში.

– ახლახან დასრულდა სოფლის პროგრამის პრიორიტეტების გამოსავლენად დაგეგმილი სოფლის კრებები. საინტერესო დამთხვევაა, რომ ეს შეხვედრები თქვენი კარიერის დასაწყისს დაემთხვა. საერთო ჯამში რა დაგანახათ სოფლის კრებებმა, ასე სიღრმისეულად იცნობდით ჩვენს სოფლებს?

– ახლახან, არბოშიკის, მირზაანისა და ზემო მაჩხაანით დავასრულეთ ამგვარი კრებები. ყველა სოფელში პირადად ვესწრებოდი მოსახლეობის მიერ პრიორიტეტების გამოვლენის პროცესს. მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონი ორ ზონადაა დაყოფილი, ქედების ზონა და აქეთ მხარეს დანარჩები სოფლები. მდებარეობიდან გამომდინარე და ჩემი წინა სამსახურის გამო, არბოშიკი-მაჩხაანის გზის გავლა დღეში რამდენჯერმე მიხდებოდა და შესაბამისად, ამ სოფლებს უფრო უკეთესად ვიცნობდი, მათი პრობლემებიც ჩანდა. ქედების ზონის პრობლემებს შედარებით ნაკლებად ვიცნობდი და სწორედ ამიტომ, ძალიან გამიხარდა, რომ ეს კრებები ჩემს მოსვლას დაემთხვა. მნიშვნელოვანი იყო ყველა სოფელში ხალხის გაცნობა, მათთვის ჩემი წარდგენა.

ჩემთვის მათი აზრის გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სოფლის პროგრამამ დამანახა ის, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული, ხაზი გაესვა იმას, რა არის ჩვენი მოვალეობა, რომ ეს არის ხალხის სამსახურში ყოფნა და ჩვენ ვართ ხალხის მიერ დაქირავებულნი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ სწორედ ამ უბრალო ხალხისთვის ხელმისაწვდომი იყოს ის სიკეთეები, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება თუ ცენტრალური მთავრობა გეგმავს.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ შეხვედრებმა ძალიან დიდი სტიმული მომცა და იმედი ჩამისახა. მოგეხსენებათ, გასულ წელს დედოფლისწყაროში ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდა. ბევრი პრობლემა გადაიჭრა, ბევრის მოგვარების გზები დაისახა და სწორედ ამის გამო ხალხში ამჟამად კეთილგანწყობა დამხვდა, რაც არ დაგიმალავთ და დიდი სტიმულია ჩემთვის. ამიტომ, დიდი შემართებით უნდა გავაგრძელო მუშაობა, რომ ამ ხალხის იმედი არ გავაცრუოთ. ამასთან, დედოფლისწყარო მევენახეობის ერთ-ერთი კერაა და შარშან კარგად დაგეგმილმა და ორგანიზებულად ჩატარებულმა რთველმა მოსახლეობას იმედი დაუბრუნა. მაგალითად,

სოფელ ფიროსმანში მოსახლეობამ აჭარიდან დაბრუნება და ვენახის დამუშავება დაიწყო,

რაც ჩემთვის საამაყოა. წლების მანძილზე წყალმომარაგების სისტემის, ამბულატორიის, საბავშვო ბაღების არარსებობა სოფლის დაცლას უწყობდა ხელს. ახლა, ნელ-ნელა ეს პრობლემები რომ გადაიჭრა, ხალხი უკან დაბრუნებას იწყებს და დავინახე, რომ მოსახლეობა საკმაოდ იმედიანად და მოთმინებით ელის ამ სამუშაოებს.

– ახლახან იმყოფებოდით სოფელ საბათლოში, ცნობილია ამ სოფლის გზის პრობლემის მასშტაბურობა, რა ვითარებაა საბათლოს გზაზე?

– ქედების მიმართულებით დედოფლისწყაროდან 12 კმ სიგრძის ახალი გზა დაიგო თავისი საგზაო ნიშნებით, თუმცა ეს საკმარისი არ არის. წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროდან 22 მილიონი ლარია გამოყოფილი ქედების და სამთაწყარო-ფიროსმანის გზის მოასფალტებისთვის. 12 მილიონი ლარის სამუშაოები პირველ ეტაპზე უკვე დაგეგმილია და ივნისის ბოლომდე ზემო ქედის შესასვლელამდე მოასფალტდება. ანუ, დედოფლისწყაროდან ქედამდე ახალი გზით მივალთ.

– თქვენს წინამორბედს კონკრეტული ინიციატივები ჰქონდა ხოლმე. მაგალითად, მიაჩნდა, რომ დედოფლისწყაროს №1 პრობლემა იყო, კაკლისყურის ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარებულიყო, რომ ტერიტორიები არ დაგვეკარგა... ამგვარი წლობით მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრა ირაკლი შიოლაშვილის სახელს უკავშირდება. თქვენ თუ გაქვთ ისეთი საკითხები და სურვილები, რომლებიც ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრას?

– ირაკლი შიოლაშვილი ისეთი აქტიური იყო, რომ ყველა პრობლემური საკითხი წამოწია და ექსკლუზივები აღარ დაგვიტოვა, თუმცა, დღეისთვის რაც დგას, მალე გადაიჭრება. ჯანდაცვის სამინისტროსთან აქტიური კომუნიკაცია გვაქვს და წლის ბოლომდე საავადმყოფოს საკითხი აუცილებლად გადაიჭრება. ასევე, „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციის ყბადაღებული საკითხი დაიძვრება და დამატებით დეტალებზე მუნიციპალური განვითარების ფონდთან ახლა ვმუშაობთ. ამას გარდა, ტურიზმის დეპარტამენტთან გვაქვს საუბარი, რომ დედოფლისწყაროს ტურისტული პოტენციალი წინ წამოვიდეს და გაცილებით გააქტიურდეს.

– ირაკლი შიოლაშვილის გამგებლად დანიშვნისთანავე ისმოდა პრეტენზიე-

სჯიმული და იმედი ჩამისახა

ბი, რომ ის დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდის დროს, როდესაც „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას ცდილობდა, დედოფლისწყაროში არ გამოჩენილა. თქვენს შემთხვევაშიც იგივე განმეორდა და ეს შენიშვნები თქვენი მისამართითაც ისმის. თუ გქონდათ პროტესტი იმხანად ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?

– ცხადია, პროტესტის განცდა მქონდა და ამაზე დასაწყისშიც ვისაუბრე. პოლიტიკურ პროცესებში აქტიურადჩართული არ ვიყავი, თუმცა ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია მეც და ჩემმა ოჯახმაც საარჩევნო ყუთთან ცივილიზებულ ფორმებში დავაფიქსირეთ და ასე გამოვხატე პროტესტი. კიდევ ერთს დავამატებდი, რომ ჩემთვის გამგებლის თანამდებობა არ გახლავთ საჩუქარი და ეს არ მიმაჩნია ცხოვრების იდეა-ფიქსად. ვთვლი, რომ ეს უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა და მაქსიმალურად ვეცდები, ღირსეულად ვატარო.

– ხალხი გვეკითხება, საბავშვო ბაღებში ძალიან დაბალი ხელფასებია და რა გეგმები გაქვთ ამ კუთხით?

– მინდა გავახარო საბავშვო ბაღების პერსონალი და გითხრათ, რომ უახლოეს ორ თვეში სკოლამდელ დაწესებულებებში ხელფასები გაიზრდება. ამჟამად სკოლამდელი აღზრდის ხელმძღვანელთან ერთად დეტალურად ვსწავლობთ არსებულ ვითარებას, სად რამდენი შტატია და რა ხარჯებთან გვექნება საქმე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროში ბაღები უფასო გახდა, იქ კონტიგენტი საგრძნობლად გაიზარდა და მოსახლეობაზე დადებითად აისახა.შეგახსენებთ, დედოფლისწყარო პირველი იყო საქართველოში, სადაც ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით საბავშვო ბაღებს გადასახადი გაუუქმდათ. ამ ფონზე კი შეიძლება ითქვას, რომ საბავშვო ბაღებში დასაქმებულმა პერსონალმა კონტინგენტის ზრდა გმირულად გადაიტანა. რაც მთავარია, უპრეტენზიოდ იმუშავეს მიზერულ ხელფასებზე, ვითარება ძალიან მალე გაუმჯობესდება.

„წლის ბოლომდე საავადმყოფოს საკითხი გადაიჭრება, ქოჩების ტბის საკითხიც აუცილებლად დაიძვრება – ამაზე უკვე ვმუშაობთ“

–საინტერესოა, როგორი იქნება მედიასთან თქვენი დამოკიდებულება?

– ძალიან აქტიური ვიქნები მედიასთან. ყოველთვის მზად ვარ თანამშრომლობისთვის, კომენტარისთვის თუ სტუდიაში სტუმრობისთვის. ვერ ვხვდები და ჩემთვის მთლიანად გაუგებარია, რატომ არიდებენ საჯარო მოხელეები თავს ჟურნალისტებთან ურთიერთობას. მითუმეტეს, რომ ჟურნალისტებთან კონტაქტი ორმხრივად სასარგებლოა საქმისთვის.

– ჩვენი საუბრის დასასრულს, მინდა გკითხოთ, რამდენიმე თვეში თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება, ცნობილია, რომ ცვლილებების მიხედვით გამგებლის თანამდებობაც არჩევითი ხდება, ყველას აინტერესებს რა გეგმები გაქვთ ამ კუთხით?

– ჩემი გეგმები გახლავთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და შესაბამისად გამარჯვება!.. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანებული არ ვარ, მიმაჩნია, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

ილია მარტყოფლიშვილი

რატომ შემცირდა ცხვრის ექსპორტი?!

მეცხვარეობა საქართველოში უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რის მთავარ მიზეზად მეცხვარეები გადასახადებს ასახელებენ, ამიტომაც ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურთან შეხვედრისას მეცხვარეთა ასოციაციამ საძოვრებზე დაწესებული გადასახადების შეცვლა მოითხოვა: "ჩვენ არ მოვითხოვთ განსაკუთრებულ პირობებს, ჩვენ მხოლოდ გადასახადის ოდენობის შეცვლას ვითხოვთ, ოღონდ ისე, რომ არც ჩვენ დავზარალდეთ და არც სახელმწიფო," – ამბობს საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი გექა გონაშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლების დროს მეცხვარეებს გადასახადი უსაფუძვლოდ გაუძვირეს.

- ადრე მიწის გადასახადი ჰექტარზე სამი ლარი იყო, ბოლო წლებში კი, ერთი ხელის მოსმით, 500%-ით გაზარდეს, თანაც თანხა რაიონების მიხედვით განსხვავებულია, მაგალითად: დედოფლისწყაროში - 7 ლარია, ახმეტაში - 5, ხოლო სიღნაღში - 16 ლარი. რატომ? - არავინ იცის. ამასთან, როცა წინა მთავრობამ ეს გადასახადი შემოიღო, არავის უკითხავს: შეუძლია კი მეცხვარეს მისი გადახდა? უბრალოდ, მაშინ ცხვრის ექსპორტი გაიზარდა და ეგონათ, გლეხის გადახდისუნარიანობაც მოიმატებდა. დღეს ვითარება ასეთია: ჩვენ ერთი სული ცხვრის შენახვა დაახლოებით 120 ლარი გვიჯდება, ხოლო ვისაც მიწა დაქირავებული აქვს - 140-150 ლარიც. მეცხვარეების უმეტესობას ბანკში აქვს სესხი აღებული და საკმაოდ მაღალ პროცენტსაც იხდის, რათა როგორმე მიწის გადასახადი გადაიხადოს. თანხის გადახდა მაშინაც კი გვიწევს, როცა ცხვარი კვდება. მაგალითად, ერთ-ერთ შპს-ში 2012 წლის ზამთარში 2 ათასი სული ცხვარი დაეხოცათ და 300 ათასი ლარი იზარალეს, ამას დაემატა ისიც, რომ მკვდარი ცხვრის ჩამოსაწერად თითო სულში 20 ლარის გადახდა მოუხდათ. პროცედურა ასეთია: თუ თქვენ მოგიკვდათ ცხვარი ან

სხვა პირუტყვი, მიდიხართ, იხდით ბანკში 20 ლარს, შემდეგ კი მოითხოვთ, რომ საგადასახადო ორგანომ თავისი წარმომადგენელი გამოგიგზავნოთ. ის მოდის, ნახულობს, რომ ცხვარი ნამდვილად მკვდარია და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოწერს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ჩვეულებრივად იბეგრებით საშემოსავლო გადასახადით. რა ქნას მეცხვარემ, მაგალითად, თუშეთში, სადაც არც ინტერნეტია და არც იმის პირობები, რომ ის დროულად დაუკავშირდეს საგადასახადო სამსახურს? ამიტომ უნდა დაწესდეს რაღაც სტანდარტი, რომ ცხვრების განსაზღვრული რაოდენობა შეიძლება დაიხოცოს შობადობის ან გადარეკვის დროს, დავუშვათ, 15%. დოლის დროს ხანდახან 15%-ზე მეტი გვეხოცება, ეს დამოკიდებულია ამინდზე, კვებასა და ბევრ სხვა ფაქტორზე.

- საქართველოდან რამდენი ცხვარი გადის საექსპორტოდ?

- ყოველწლიურად საშუალოდ 16 მილიონი დოლარის ღირებულებისა. ადრე ქართული ცხვარი გადიოდა ლიბიაში, კატარში, ლიბანში, სირიაში, იორდანიაში, ქუვეითში, ირანში, დუბაიში, მაგრამ ეს ბაზრები დავკარგეთ და შარშან მხოლოდ აზერბაიჯანიღა დაგვრჩა. იორდანიაში, ძირითადად, სომხეთიდან შემოყვანილი ცხვარი გაიყვანეს, ირანში კი ქართული ცხვარი ძალიან მცირე ოდენობით გავიდა. ბაზრების დაკარგვა მაღალმა ფასმაც განაპირობა. მაგალითად, შარშან სომხეთში 1 კგ ცოცხალ საქონელს 2 დოლარად ყიდდნენ, ხოლო ჩვენთან - 4 დოლარად. 2013 წელს საქართველოდან სულ გავიდა დაახლოებით 160 ათასი სული ცხვარი.

- ჩვენი ჯიშები დაბალპროდუქტიულია, რატომ?

- თუშური ცხვარი წელიწადში ერთ ბატკანს გვაძლევს, მაშინ, როცა არსებობს ჯიშები, რომლებიც ორ, სამ, ოთხ ბატკანსაც კი იძლევა. ჩვენი ცხვარი წელიწადში 50 ლიტრამდე რძეს იწველება და აქედან 30-35 ლიტრი ბატკანს მიაქვს, მაგრამ არსებობს ჯიშები, რომლებიც 200-300 ლიტრ რძეს გვაძლევს. ამიტომაც სჭირდება ქართულ ცხვარს სელექცია, სხვა ჯიშებთან შეჯვარება და გაუმჯობესება.

აუცილებელია სტაციონარული ბაგების შექმნაც. გაზაფხულზე, დოლის შემდეგ, საქართველოში გვყავს დაახლოებით 800 ათასი სული ცხვარი და გვაქვს 250 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვარი. ნორმით 1 ჰექტარზე ერთი სული ცხვარი უნდა მოდიოდეს, ჩვენ კი 1 ჰექტარზე სამი და ოთხი ცხვარი გვყავს. ამის გამო საძოვრები ცუდ დღეშია. ფერმერებს, ვისაც საამისო თანხა აქვთ, შეუძლიათ სტაციონარულ პირობებში ჰყავდეთ ცხვარი, თვითონ მიხედონ საკვებ ბაზას (ხორბალი, ქერი), ადგილზე მოუარონ და შეინახონ. თუ ჩვენში ასეთი ფერმები შეიქმნება, მაშინ 1 ჰექტარზე ცხვრის სულადობა დაიკლებს და საძოვრების ხარისხიც გაუმჯობესდება. სტაციონარულ ფერმაში წინასწარ იქნება დადგენილი კვების რაციონი, შეჯვარების პერიოდები, ფერმერს შეუძლია განსაზღვროს, როდის გაჩნდეს ბატკანი და სხვ. მარტში, მაგალითად, მუსლიმებს ბაირამობის დღესასწაული აქვთ და ცხვარზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ ამ დროს ჩვენი ბატკანი 10 კილოგრამიც არ არის. სტაციონარში შესაძლებელია ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმო და ბევრი ცხვარი მაშინ გყავდეს, როცა მასზე მოთხოვნა დიდია.

გაზაფხულის ზეიმი

წელიწადის ამ დროს გაზაფხულისა და დედის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით გვანებივრებენ ჩვენი ქალაქის ბაგა-ბაღების აღსაზრდელები. N2 საბავშვო ბაღში ამ კვირაში გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებული უკვე მესამე ღონისძიება ჩატარდა. ქალაქის დანარჩენ ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, N2 საბავშვო ბაღში ბავშვთა კონტიგენტმა საგრძნობლად იმატა, ამ რამდენიმე ხნის წინ შეიქმნა კიდევ ერთი 4-5 წლიანთა ჯგუფი. ახლადმოსულმა პატარებმა სწრაფად მოახდინეს ადაპტაცია უცხო გარემოსთან და პედაგოგებს, მშობლებს და მიწვეულ სტუმრებს კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს. აღსაზრდელების: მარიამ კუპატაძის, ელენა სესიტაშვილის, მარიამ გონაშვილის, ვალენტინა ხაჩატურიანის, თამარ კარაციელის, თემურ გოგილაშვილის, მათე კვენჭილაშვილის, გიორგი თეთრაულის, გვანცა კობაიძის, გიორგი გერგიშვილის, ნიკოლოზ მუსაელიანის, მიხეილ ალადაშვილის, ანა პოპოვას, გვანცა ქავთარაძის,დათა ხუნაშვილის, ლუკა რეხვიაშვილის, მარიამ ჯინაშვილის, ელენე გოგილაშვილის, ანა მურაკაშვილის, ქეთევან ბენაშვილის, დავით მარტყოფლიშვილის, არჩილ წიკლაურის, გიორგი ალუღიშვილის და თამარ ჩუთლაშვილის მიერ მხატვრულად წაკითხულმა ლექსებმა და გაზაფხულისადმი მიძღვნილმა თბილმა სიტყვებმა, ხალხურმა ცეკვა-სიმღერებმა მაყურებელი აღაფრთოვანა. ჯგუფის აღმზრდელის ქეთი ჯალიაშვილის, აღმზრდელის თანაშემწის ელზა ბენაშვილის, ძიძის მერი მოსეშვილის და მუსიკის მასწავლებლის აზა ლაპიაშვილის სრული მონდომებით და ახლადმოსულ ბავშვებთან განსაკუთრებული მიდგომით, ჩვენი პატარების მეხსიერებას კიდევ ერთი ულამაზესი დღე აღებეჭდა. როგორც ყოველთვის, ღონისძიების დასასრული გულისამჩუყებელი იყო, პატარებმა დედებს კიდევ ერთხელ მიულოცეს დედის დღე, გაზაფხულის მობრძანება და მათთან ერთად "ვალსი" შეასრულეს.

ელზა ხარაშვილი

„რწყილი და ჭიანჭველა“ ბავშვების მონაწილეობით

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში დიდს როლს ბავშვობის წლები განსაზღვრავს. რამდენად ლაღი, სიხარულით და პოზიტიური განწყობებით სავსეა ბავშვობის ექვსი წელიწადი, გარკვეულწილად სწორედ ამაზეა დამოკიდებული შემდგომში მისი მომავალის გზის სინათლეც. ბაღი, მეგობრები და ურთიერთობა პატარისთვის უკვე ის პატარ-პატარა დაბრკოლებებია, რომელსაც იგი ცხოვრების დასაწყისში პირველად აწყდება, სწავლობს მეგობრობას, ურთიერთობას, კულტურას...

სწორედ შემეცნებით- აღმზრდელობითი მნიშვნელობის გახლდათ 13 მარტს დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი) 5-6 წლიანი ბავშვების მიერ წარმოდგენილი ღონისძიება,(პედაგოგები მაია გაგნიაშვილი და მარინე ჯორკოშვილი) რომელიც პატარებმა მეგობრობას, გაზაფხულს და დედის დღეს მიუძღვნეს. ღონისძიება გახსნა ამ ჯგუფის აღსაზრდელმა პატარა ირაკლი საბიაშვილმა.

„რწყილი და ჭიანჭველა“, ასე ერქვა საბავშვო სპექტაკლს, რომელიც ქართული ხალხური ზღაპრის „რწყილი და ჭიანჭველას“ მიხედვით იყო წარმოდგენილი. თავგადასავალი, რომელიც რწყილსა და ჭიანჭველას გადახდა, პატარა სცენის ოსტატებმა ძალიან ლამაზად, მართლაც ზღაპრული ორიგინალობით წარმოგვიდგინეს.

ზღაპრული გმირების როლების მორგების შემდეგ, ბავშვებმა არანაკლები მონდომებით-წაგვიკითხეს ლექსები დედებს.

„შენი შუქი გზას მინათებს,
ჩემო ტკბილო დედა,
შენს ძვირფას და ლამაზ სახეს
სიზმარშიაც ვხედავ.“

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ბაღის მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი.

ზეიმის დაწყების წინ გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსთან ქალბატონ თამარ თამაზაშვილთან ერთად მობრძანდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელთა ღონისძიებაზე დასწრებაც ერთგვარი სიურპრიზი აღმოჩნდა იქ მყოფი ბავშვებისთვის, პედაგოგებისთვის და მშობლებისთვის. ბატონმა ნიკოლოზმა სიტყვით მიმართა ყველას: -„მინდა მოგილოცოთ ეს დღე, განსაკუთრებით მოგილოცავთ მარტის დღესასწაულებს ქალებს, პედაგოგებს, დედებს და მინდა განუგეშოთ, რომ თქვენს შვილებს არაფერი მოაკლდება იმისთვის, რომ თბილ და საიმედო გარემოში იყვნენ, ჰქონდეთ კარგი საკვები და პედაგოგების სიყვარული. პედაგოგებს კი, მოგმართავთ და გპირდებით, რომ თქვენი შრომა აუცილებლად დაფასდება, აპრილის თვიდან ყველა თქვენგანს მოემატება ხელფასი, რისთვისაც თავდაუზოგავად ვშრომობ თქვენი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორთან მაია ხუმარაშვილთან ერთად.“ -განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, შემდეგ კი ბავშვების მომზადებულ პროგრამას სრულად დაესწრო, დასასრულს კი სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო მათთან.

ღონისძიებას თამარ თამაზაშვილთან და ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად, სკოლამდელი და სკოლისგერეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი, ამავე სამსახურის სპეციალისტი ირმა ჯანაშვილი ესწრებოდნენ.

ლალი მეხრიშვილი

სადღესასწაულო დღეების ქრონიკა

ქალთა დღეს მიეძღვანა მშვენიერი ღონისძიება, რომელიც 7 მარტს, ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა - „ქიზიყი“ და „ხორნაბუჯი“, ვოკალურმა კვარტეტმა, ხალხური საკრავების ტრიომ, ბავშვთა ქორეოგრაფიულმა სახალხო ანსამბლმა „შირაქი“ და ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი”.

ღონისძიება მიჰყავდა ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“-ს მსახიობებს.

* * *

6 მარტს ქალთა საერთაშორისო და დედის დღეებს მიეძღვნა ღონისძიება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სპეციალურად ამ დღისთვის ღონისძიების ორგანიზატორებმა მოიწვიეს დედოფლისწყაროელი ქალბატონები. მუზეუმის თანამშრომლებმა ისაუბრეს ქალის როლზე საზოგადოებაში, გარკვეული ისტორიული ექსკურსიც მოახდინეს და კიდევ ერთხელ მიმოიხილეს საქართველოს ისტორია, რომელსაც ქართველი დედის გმირობის მაგალითები მრავლად ახსოვს. მონაწილეები ვერ გაექცნენ თანამედროვეობას და არსებულ პრობლემებს, რომელსაც ყოველდღიურად აწყდებიან დედები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და განათლების სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ბახუტაშვილი, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს გაზაფხულის დადგომა და ქალთა დღესასწაულები და თითოეულ მათგანს პრობლემებისგან თავისუფალ საქართველოში ცხოვრება უსურვეს.

მადლიერება

ჩვენი მრავალწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ქალთა დღესასწაულების დროს, არასოდეს გვიგვრძვნია თავი დაფასებულად, არასოდეს მიგვიღია ოდნავი ყურადღება ხელმძღვანელობის მხრიდან , მხოლოდ ახლა, ამ ხელმძღვანელობის მხრიდან ვიგრძენით ყურადღება და გვერდში დგომა, სარვამარტოდ ყველა პედაგოგმა და თანამშრომელმა მივიღეთ 50 ლარიანი ფულადი საჩუქარი, რისთვისაც კმაყოფილებას გამოვთქვამთ და მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზდულ საქმეთა სამსახურის უფროსს თამარ თამაზაშვილს, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს და მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს ამ დიდი სიხარულის მონიჭებისთვის.

პატივისცემით
დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი, ამავე ბაღის პედაგოგები და მოსამსახურე პერსონალი.

მონატრება

ლალი მაძღარაშვილი

ჩემო საყვარელო შვილო ლალი, უკვე მეთორმეტე წელია, რაც ამქვეყნიდან წახვედი და დამიტოვე დიდი სევდა, მწუხარება, ტკივილი და მონატრება. ტყუილია, რომ ამბობენ დრო მკურნალიაო. არა შვილო, რაც დრო გადის, უფრო მეტად მენატრები და ვერაფერი ავსებს ამ მონატრებას. სიკვდილზე შემზარავი და მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე.

შენ ხომ გიყვარდა ძალიან გაზაფხულის მოსვლა, იმიტომ, რომ შენი დაბადების დღე არის 19 მარტი. ეს დღე უკვე მეთორმეტედ მოდის უშენოდ, რაც შენს უბედურ დედაშენს არ უნდა.

რაც შენ წახვედი შვილო, ამ ქვეყნიდან, ბევრი უბედურება დამატყდა თავს, მამაშენმა ხომ უთქმელად დამტოვა და შენსკენ მომავალ გზას დაადგა, მაგრამ მამაშენის სიკვდილს აღარ ვჩივივარ, ოღონდ შენს სიძეს- ნუკრის ეცოცხლა, მაგრამ მანაც დაგვტოვა და მარადიულ სასუფეველში დაიდო ბინა. ნუკრის სიკვდილმა ყველა გაგვანადგურა, შვილო.

19 მარტს მოვალთ შენს მარადიულ სასუფეველთან, მოგიტანთ ყვავილებს, ცრემლით დაგინამავთ გულზე დაყრილ მიწას და დაგინთებთ 37 წმინდა სანთელს. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

თქვენზე მარად მტირალი მარიკა მაძღარაშვილი.

ნუკრი მენთეშაშვილი

ჩემო ნუკრი, 28 მაისის ღამეს დაგისრულეს სიცოცხლე 40 წლის ასაკში. იმ არაკაცებმა ვერაგულად მოგისპეს სიცოცხლე და სამი შვილი ობლად დაგვიტოვე, ეს ხომ მეხის გავარდნა იყო ჩვენთვის. ნუკრი, შენ ხომ ჩემი ერთად-ერთი იმედი და პატრონი იყავი. ყოველთვის მხარში მედექი და მამხნევებდი. შენმა ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვა. ძალიან გვენატრები- შენს მშობლებს, ცოლ-შვილს და ყველა ახლობლებს.

ნუკრი, შენ ისეთი კაცური-კაცი იყავი, რომ სიკვდილი ვერაფერს დააკლებს იმ სიყვარულს და ვაჟკაცურ სახელს, რაც შენ დატოვე ამქვეყნად. იცოდე, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ჩვენთვის დილა იწყება ტირილით და მთავრდება ტირილით. შვილო ნუკრი, შენც ხომ მარტის თვეში ხარ დაბადებული. 17 მარტი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს პირველად უნდა შევხვდეთ უშენოდ.

არაფერია იმაზე მძიმე, როცა საყვარელი ადამიანის დაბადების დღეს გაყინულ სურათთან ცრემლებით, ყვავილებით და სანთლებით ვხვდებით. 17 მარტს მოვალთ შენს მარადიულ სასუფეველთან, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ შენს წმინდა და ალალ სულს. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს.

შენზე მტირალი
მარიკა მაძღარაშვილი

ხსოვნა

რუსუდან ჯანიკაშვილი-ნატროშვილისა

18 მარტი შენი დაბადების დღეა, დედა! მესამე წელია უშენოდ აღვნიშნავთ შენს იუბილეს.

76 წლის გახდებოდი, დედიკო, შენი ცხოვრების მანძილზე არამარტო საკუთარი, არამედ ჩვენი თაობის ძალიან ბევრი ბავშვის მეორე დედავ. შენ ხომ 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე ბავშვების აღზრდას ემსახურებოდი. პატარა არსებებს, რომლებიც ახლად იწყებდნენ სამყაროს შეცნობას, შენ ასწავლიდი მშობლების, უფროსების, ერთმანეთის, სამშობლოს სიყვარულს, შენ ასწავლიდი ქცევის წესებს, შენ ამზადებდი მათ სკოლის მერხზე დასაჯდომად.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ შენი გარდაცვალება ბევრმა გაიზიარა. რუსუდან დიმიტრევნა გარდაიცვალაო და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, სადაც კი დროებით გადახვეწილი შენი აღზრდილები ცხოვრობენ, შემოდიოდა სამძიმრის ზარები, დედიკო.

ვერაგმა დაავადებამ არ დაგინდო, დედა, არც შენი თხოვნა შეისმინა –შენი წასული შვილების დაბრუნებამდე დაეცადა სიცოცხლე, არც შენი შვილების ვედრება შეისმინა, რომ ისევ ენახათ დედა, რომ ისევ დაეკოცნათ, რომ ისევ ჩახუტებოდნენ და მადლობა ეთქვათ მისთვის იმ ყველაფერზე, რომ მათაც დამახსოვრებოდათ დედის სხეულის სითბო, რომ მათაც გაეცილებინათ ცრემლით უკანასკნელ გზაზე და მუდმივ ტკივილად, მუდმივ მონატრებად და შეუნდობელი დანაშაულის გრძნობად არ დარჩენოდა შენი გარდაცვალება, დედიკო. გაზაფხული ხომ ძალიან გიყვარდა დედა და ამ ლამაზი გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად გილოცავთ დაბადების დღეს შენი მოსიყვარულე მეუღლე, შვილები, რძალი, სიძეები, შვილიშვილები და პატარა შვილთაშვილი.

მსუბუქი იყოს შენთვის საქართველოს მიწა, ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა, დედიკო და ზეციური საქართველოდან დალოცე და დაიცავი შენი ოჯახი.

მეუღლე როზიზონი, შვილები, რძალი, სიძეები, შვილიშვილები და შვილთაშვილი საბა

ნიკოლოზ საბიაშვილი

15 მარტს, მწარედ გასახსენებელ დღეს, ერთი წელი გახდება, რაც სულთა სასუფეველში გადაინაცვლე. წახვედი და დიდი სევდა , დარდი და ტკივილი დაგვიტოვე, სულ 21 წლით მოევლინე ამ ქვეყნად და ისევ იმ უსასრულობას დაუბრუნდი, საიდანაც ოდესღაც ჩამოფრინდი, ჩემო საყვარელო და სანუკვარო შვილო.

ამ პატარა დროში იმდენი რამ მოასწარი, იმდენი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე, რისთვისაც „კაიკაცობის საზომად ქვეყნად დატოვე სახელი“.

ძალიან მენატრები, ნიკუშ, დედას ცხოვრებავ, ცრემლები მომდის, ფიქრები და მონატრება მეძალება და ვაი, რომ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ამომივსებს.

ჩემო ძვირფასო შვილო, მსუბუქი იყოს შენთვის შენი საოცნები მშობლიური მიწა, სადაც დიდი გულისტკივილით მიგაბარეს. მახსენდება შენი ერთ-ერთი თავისუფალი თემიდან აკაკის ლექსი რომ გაქვს გამოყენებული: „დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო!.. ცა-ფირუზ, ხმელეთ- ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“, მიგაბარეს, დედი, შენი ზემო ქედის მიწას, იძინე მშვიდად, ჩემო ლამაზო, კეთილო და მოსიყვარულე ვაჟკაცო, შენს სახელს დავიწყება არ უწერია..

ღმერთო! ნათელში მიმყოფე ჩემი ნიკუშას უკვდავი, ლამაზი სული.

შენი გულმკვდარი დედა ლილი, **მამა** გუგული, **ძმები:** ზაზა და ზურაბი, **პაპა** ნიკოლოზ საბიაშვილი.

რამაზ ბონდოს ძე ცქიტიშვილი

პირველად ვხვდებით გაზაფხულს და შენს დაბადების დღეს უშენოდ, შვილო რამაზ. ტკივილი გაუსაძლისია და დღითი დღე შენი მონატრებით ძლიერდება, ცხოვრება კი ყოველდღიურად უფერული და აუტანელია უშენოდ. 22 მარტს 41 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო საყვარელო შვილო, მაგრამ დაუნდობელი ყოფილა ეს წუთისოფელი. 7 ნოემბერს იყო შენი დაკრძალვა და 15 ნოემბერს შენი ირაკლი 2 წლის გახდა, ახლა შენი გოგონას დაბადების დღე იყო 14 მარტს, ორივენი უშენოდ შეხვდნენ ამ დღეებს, სულ შენ გკითხულობენ, ძალიან ენატრები ბავშვებს, მაგრამ, რით ვანუგეშოთ ისინი, როცა ჩვენ ასეთი სასოწარკვეთილები ვართ!

სპარტაკი ძია დაგხვდა მანდ და ის მოგხედავს,შვილო რამაზ,ვერც ციცო ბებიამ გადაიტანა უშენობა და ისიც შენს გზას გამოჰყვა. დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო შვილო, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა და უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

მეუღლე ირა, **მშობლები**: ბონდო და ცისანა ცქიტიშვილები

გამოსათხოვარი

თენგიზ კოდიაშვილი

რაიონის ინტელიგენციამ კიდევ ერთი ღირსეული წევრი დაკარგა თენგიზ კოდიაშვილის სახით. დასრულდა მისი აქტიური ცხოვრების გზა და გზა, რომელიც მან პირნათლად გაიარა. მრავალი წლის მანძილზე ის ჩვენი ხალხის ჯანმრთელობას ემსახურა თავდადებით, მაღალპროფესიულად, მოვალეობის დიდი შეგნებით. მთელ რაიონს მისი მადლიანი მარჯვენის იმედი ჰქონდა, უამრავი სიცოცხლე გადაურჩენია, ბევრი ხეიბრობისათვის განწირული ფეხზე დაუყენებია. დადიოდა პალატიდან პალატაში, ბობოქრობდა, სულ მუდამ ახლის ძიებაში იყო. მახსენდება, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები. გაურკვეველი და გამოუცნობი სენი შემეყარა, ტემპერატურა თერმომეტრზე აღარ იზომებოდა. მთელი სამედიცინო პერსონალი ფეხზე იდგა. ერთ დილით პალატაში შემოსული მომმართავს: რა გინდა, ქალო, მთელი ღამე ტრუსიკიანს რას დამარბენინებო. ყველამ გაოცებით შეხედა. მერე განმარტა: მთელი ღამეები არ მძინავს, ნუთუ ვერ უნდა მივაგნოთ დიაგნოზს. ხან რას ვფიქრობ და ხან რას. ლოგინიდან წამოვხტები, გადავქექავ ლიტერატურას და ვეძებ, ამ სიმპტომით რა დაავადება შეიძლება იყოსო. სულ ასე გულთან მიჰქონდა ყველას გასაჭირი. გარეგნულად, ერთი შეხედვით ანჯახი და უხეში, რომელსაც ქიზიყური, მამა-პაპური „კურთხევაც“ ეხერხებოდა, შინაგანად ძალიან მგრძნობიარე და ფაქიზი იყო. დასანანია, რომ არეულ-დარეული დროის გამო, მისი შესაძლებლობები და გამოცდილება ბოლომდე არ იქნა გამოყენებული, რასაც ძალიან განიცდიდა. ჩვენც განვიცდიდით. ქირურგიიდან მისი წამოსვლა ხალხისთვის ერთი ეპოქის დასასრულს ჰგავდა. მოსული კაცი გერქვა, მაგრამ ისე შეესიხლხორცე ჩვენი რაიონის ცხოვრებას, ისეთი გულშემატკივარი იყავი, ბევრმა ძირძველმა მოსახლემ ვერ დაიკვეხოს. კარგი ოჯახი გქონდა, კარგი შვილები და შვილიშვილები დაგრჩა იმედად და მოსაგონებლად. მთელი რაიონის მოსახლეობის სახელით გემშვიდობებით, დიდო დასტაქარო, დიდო ადამიანო, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, არ ისურვე უძლური და უმწეო მენახე, მე კი ვალმოუხდელის გრძნობა დამიტოვე, რადგან არ მომეცა საშუალება, ერთხელ კიდევ „მივიწყებულ პოტრეტში“ საზოგადოებისათვის შემეხსენებინა შენი ამაგი. შენთვის გამზადებული კითხვარი სამუდამოდ დარჩება ჩემს პირად არქივში და მუდამ დიდი მოწიწებით და პატივისცემით გაგიხსენებ. ნათელში იყავ, თენგიზ, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

პატივისცემით ნაირა გორაშვილი.

უახლოესი მეზობლები: ვიოლეტა ნატროშვილი, ნელი ნატროშვილი, ნონა და ლია მაძღარაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა, ნიაზი და სოსო ჯანაშვილებს მამის

გიორგის

გარდაცვალების გამო.

კლარა ოზაშვილი, ლალი, გუგული, ალეკო ალადაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მერი, ნიაზი, ნათელა, სოსო ჯანაშვილებს - მეუღლისა და მამის

გიორგი ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ვიოლეტა ნატროშვილი, ნელი ნატროშვილი, ნონა და ლია მაძრარაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა, ნიაზი, სოსო ჯანაშვილებს, მამის

გიორგის

გარდაცვალების გამო.

ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაცია საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ დედოფლისწყაროს მოსახლეობაში ნაკრძალის უკეთ გაცნობისა და მისი უნიკალურობის წარმოჩენის მიზნით საინფორმაციო კამპანია წამოიწყო. ადმინისტრაციის თანამშრომლები პერიოდულად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს და სასწავლო დაწესებულებებს სტუმრობენ, საზოგადოებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული დაცული ტერიტორიებისა და იქ არსებული ფლორისა თუ ფაუნის შესახებ დეტალურ ინფორმაციას აწვდიან და მათთვის საინტერესო შეკითხვებს პასუხობენ.

ამ კუთხით, მარტის თვე განსაკუთრებულად აქტიური გამოდგა, რადგან შეხვედრების უმრავლესობა სწორედ მარტში მოეწყო. შეხვედრა გაიმართა რაიონის პოლიკლინიკის თანამშრომლებთან, კერძო კლინიკებთან და რაიონის მოსახლეობასთან. მათ ჩაუტარდათ საუბარი ვაშლოვანის და საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების შესახებ და დაურიგდათ რიფლეტები.

ამგვარ შეხვედრებს ბოლო დროს მასობრივი ხასიათი აქვს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებშიც. ზოგიერთი სკოლის მოსწავლეები ვაშლოვანის ადმინისტრაციულ შენობას სტუმრობდნენ, ზოგ შემთხვევაში თავად ნაკრძალის თანამშრომლები მიდიოდნენ სკოლებში, განსაკუთრებით, რაიონულ ცენტრს მოშორებულ სოფლებში. ამგვარი შეხვედრები უკვე გაიმართა ქალაქ დედოფლისწყაროს ორივე, ასევე სოფლების სამრეკლოსა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებში.

რამდენიმე დღის წინ კი ადმინისტრაცია ქედების ზონას სტუმრობდა, თანამშრომლებმა სოფელ ზემო ქედის №1 და №2 საჯარო სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ასევე დაინტერესებულ მოსახლეობას საჭირო ინფორმაცია მიაწოდეს. აღმოჩნდა, რომ სოფლების მოსახლეობა ამგვარი ინფორმაციის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს, მით უფრო, რომ რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ სოფლებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ არის. მათაც დაურიგდათ ფერადი საინფორმაციო ბუკლეტები და ბროშურები. ჩატარდა პრეზენტაცია დაცული ტერიტორიისა და ჯეირნის რეინტროდუქციის შესახებ.

ამას გარდა, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ 2014 წლის თებერვალში ბუნგალოების სოფელში სარეკონსტრუქციო სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. გაკეთდა საპიკნიკე მაგიდა, მომზადდა მისი გადახურვის კონსტრუქციული გადაწყვეტილება. ასევე, განახლდა ტურისტებისთვის განკუთვნილი მოძველებული საინტერპრეტაციო-საინფორმაციო დაფები.

შეგახსენებთ, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ მიჯნისყურეში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დონორმა ორგანიზაციამ ,,ქართუ ჯგუფმა'' დაიწყო.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ დედოფლისწყაროში აზერბაიჯნიდან ჯეირნების ორი პარტია შემოვიდა. აზერბაიჯანულმა მხარემ ქურციკები საჩუქრად გადმოგვცა. დაცული ტერიტორიების სააგენტომ კი ისინი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე გაუშვა. პროექტი გადაშენებული ქურციკის აღდგენის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ახლადჩამოყვანილი ქურციკების ნაწილი უკვე დაიღუპა, მიზეზად მომრავლებული მტაცებელი სახელდება.

მიუხედავად ამისა, ნაკრძალის წარმომადგენლები პერიოდულად სხვადასხვა ცხოველის ნაკვალევს ტერიტორიაზე კვლავაც ნახულობენ. ამას გარდა, ვაშლოვანში დამონტაჟებული ფოტოხაფანგები პერიოდულად საინტერესო კადრებს აფიქსირებენ. ყუმუროს ხეობაში მონიტორინგის ჯგუფის მოძრაობისას დაფიქსირდა დათვის, ფოცხვერის, გარეული ღორის და მგლის ნაკვალევიც.

ილია მარტყოფლიშვილი

ყურადღება!

2014 წლის 11-13 აპრილს გამოფენების ცენტრი „ექსპო ჯორჯია“ ატარებს მე-16 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას-Caucasus Tourism Fair, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება საქმიანი ტურიზმის, შეხვედრებისა და კონფერენციების მეორე საერთაშორისო გამოფენა Caucasus MIGE 2014.

კახეთის რეგიონის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის მიზნით დედოფლისწყაროელ ბიზნესმენებთან გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა 25 მარტს 12 საათზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზში (მის: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, I სართული). ამავე დღეს მოხდება სოფლის მეურნეობის განვითარების პროფილით მიმდინარე საგრანტო კონკურსების გაცნობა და მასში მონაწილეობის მიღების საშუალებების განხილვა.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მობრძანდეთ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა

მადლობა

მთელი კვირა არ წყდებოდა ჩემი ტელეფონის ზარი. მირეკავდნენ ნაცნობებიც და უცნობებიც კი, ვინც მხოლოდ გაზეთის ფურცლებიდან მიცნობს. მილოცავდნენ საიბილეო დაბადების დღეს და თან სწუხდნენ, ჩემი მეუღლის ავადმყოფობის გამო. დიდი მადლობა ყველას ყურადღებისა და თანადგომისათვის.

ნაირა გორაშვილი

მადლიერება

2011 წლის 21 იანვარს შემზარავმა ხანძარმა თავზარი დაგვცა მე და ჩემს ოთხ ობოლს. განგებამ ის არ მაკმარა, რომ ასეთ დუხჭირ ცხოვრებას მარტო ვუძღვებოდი და უსახლკარობა მარგუნა.

ძნელია ამ ტვირთის ზიდვა, მაგრამ ყველაფერი ბედისწერაა და ვეგუები, თუმცა, ჯანმრთელობა კი შემერყა.

ადამიანი იმედით ცოცხლობს და არც მე ვკარგავ იმედს. მაინც ვცდილობ, რომ შვილებს დარდი შევუმსუბუქო, განა იოლია ობლობა? ან სხვის ჭერქვეშ ცხოვრება? გამგეობიდან პასუხი ერთი და იგივეა, ქირით უზრუნველყოფა.

მადლობის მეტი რა მეთქმის იმ დროინდელ გამგეობის წარმომადგენლებზე და ან ამჟამინდელზე, მაგრამ, მაინც საკუთარი ჭერი ოცნებად დამრჩა და გულის სიღმეში კი ტკივილი.

მინდა, გაზეთ „შირაქის“ საშუალებით უდიდესი მადლობა გადავუხადო რაიონის სათნოების სახლის დირექტორს: ციცინო დარჩიაშვილს იმ დიდი ყურადღებისათვის, რაც ჩემი ობლების მიმართ გამოიჩინა, მივულოცო გაზაფხულის დღესასწაულებ: 8 მარტი და დედის დღე 3 მარტი და ვუსურვო, ყოველივე კარგი ცხოვრებაში, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს მისი ცხოვრების თანამგზავრი. კეთილი საქმე ეკეთებინოს გაჭირვებული ხალხის სამსახურში ჩაბმულს. ვლოცავ მთელი გულით, იხაროს და იბედნიეროს მრავალჟამიერ.

ლიანა წიკლაური-ბერიძე

ულოცავენ!

მაკო კოტაშვილს

ჩვენო ლამაზო, მოუსვენარო და საყვარელო მაკუნა! გილოცავთ 9 წლის იუბილეს, გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს!

ძმა - ალეკო კოტაშვილი, **დეიდაშვილები** - სალომე ნატროშვილი, გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვილები.

სიახლე!

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.

მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:

579 33 07 41; 555 00 79 16; 557 23 88 99; 790 40 82 15 იკითხეთ თამაზი.

იყიდება

იყიდება 1,5 ოთახიანი იზოლირებული ბინა 40 კვ.მ. ვანა-ტუალეტით, სამზარეულოთი, ცივი და ცხელი წყლით, კანალიზაციით, ბუნებრივი აირით, ელექტრო გაყვანილობით, სატელიტური ანტენით, სარდაფისა და საბოსტნე ადგილის გამოყოფის პერპექტივით. ფასი შეთანხმებით. დედოფლისწყარო, ნიკორხიცის №41

599 330 680

მენარმეთა საყურადღებოდ!

შ.პ.ს. „ლაშარი+“ შეგახსენებთ, რომ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ინდ. მეწრმეებისათვის და იურიდიული პირებისთვის 2013 წლის წლიური დეკლარაციების საგადასახადო ორგანოებისთვის ჩაბარების ბოლო ვადაა 31 მარტი. დეკლარაციების შევსებასა და ჩაბარებაში არის გარკვეული სიახლეები-ცვლილებები.დეკლარაციის ჩაბარების ვალდებულება აქვს როგორც მიკრობიზნესის, ისე მცირე ბიზნესის, ფიქსირებულ გადასახადის გადამხდელებს და არასამთვარობო ორგანიზაციებს. დეკლარაციების სწორად და დროულად ჩაბარების მიზნით გთხოვთ მიაკითხოთ შ.პ.ს. „ლაშარი +“-ს.

591 22 44 95; 593 28 11 46; იჩქარეთ, დრო შეზღუდულია.

შ.პ.ს. „ლაშარი+“ ის ადმინისტრაცია

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 17.03		სამშაბათი 18.03		ოთხშაბათი 19.03		ხუთშაბათი 20.03		პარასკევი 21.03		შაბათი 22.03		კვირა 23.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8 °	6 °	6 °	4 °	8 °	7 °	10 °	7 °	11 °	10 °	13 °	9 °	13 °	11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K